



Ambassade de France  
en Géorgie

# ხართ ევროკავშირის არანაწილი ქვეყნის მოქალაქე და გსურთ საფრანგეთში სამუშაოდ გამგზავრება?



## **ვარ უცხოელი და მაქვს საფრანგეთში სამუშაო ხელშეკრულება, რომელიც ძალაშია სამი ან სამ თვეზე ნაკლები პერიოდით:**

- თქვენ გესაჭიროებათ მოკლევადიანი ვიზა და მუშაობის უფლება დამოწმებული საწარმოების, კონკურენციის, მომხმარებლების, შრომისა და დასაქმების რეგიონული დირექციის (DIRECCTE) მიერ.
- ამასთანავე, **თუ ხართ საქართველოს მოქალაქე და გაქვთ ბიომეტრიული პასპორტი, გათავისუფლებული ხართ მოკლევადიანი ვიზის მოთხოვნისგან საფრანგეთში გასამგზავრებლად.**

მიუხედავად ამისა, აუცილებლად უნდა იქონიოთ შრომისა და დასაქმების დირექციის მიერ დამოწმებული მუშაობის უფლება.

## **ყურადღება !**

2016 წლის 7 მარტიდან, თქვენ თავისუფლდებით მუშაობის უფლების წარდგენისაგან თუ მონაწილეობთ :

- კულტურულ და ხელოვნების ღონისძიებაში, როგორებიცაა მუსიკალური, კინოსა და თეატრის ფესტივალები;
- საერთაშორისო შეხვედრები, როგორებიცაა ხელოვნების პრაქტიკული სახელოსნოები და ბიენალები;
- ფრანგული ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული კულტურული ღონისძიებები;
- ან თუ ხართ ფრანგული ლიცენზირებული სამოდელო სააგენტოს მიერ დაქირავებული მოდელი.

## **ვარ უცხოელი და მაქვს სამუშაო ხელშეკრულება, რომლის ხანგრძლივობა აღემატება სამ თვეს :**

თქვენ უნდა მოითხოვოთ შესაბამისი გრძელვადიანი ვიზა საფრანგეთის საელჩოში და თან წარადგინოთ მუშაობის უფლება დამოწმებული შრომისა და დასაქმების რეგიონული დირექციის მიერ.

სრული ინფორმაციისთვის მიმართეთ:

საქართველოში საფრანგეთის საელჩოს საკონსულო სამსახური

ტელ.: +995 32 272 14 01 ან ელ-მისამართი: [consulat.tbilissi-amba@diplomatie.gouv.fr](mailto:consulat.tbilissi-amba@diplomatie.gouv.fr)

[www.ambafrance-ge.org](http://www.ambafrance-ge.org)